ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭო

ოქმი:**ო47. 47232082**
თარიღი:**27/07/2023**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სხდომის

ოქმი N4

დ. ჩოხატაური 30.06. 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე - ზაალ მამალაძე

სხდომის მდივანი: მაია გიორგაძე

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

მარინე ბერაძე, მარიტა მგალობლიძვილი, ნინო კაპანაძე, თეა მამალაძე, მაია გიორგაძე, ქეთევან სიხარულიძე, ლაშა თოლორდავა, მაია პაიჭაძე, ნათია ლალიაშვილი, მანანა მინდაძე, მედეა შარაშიძე,სოფო ჯინჭარაძე

არ ესწრებოდნენ: მარინე თავაძე, ლაშა ირემაძე, ნანა ცინცაძე, ჯუმბერ ბერძენიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებიან მოწვეული პირები:

- მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - მაია კუტუბიძე
- მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - მაია გოგოლაძე

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა და დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ქალთა ფორუმის ჩასატარებლად საორგანიზაციო საკითხების განხილვა და კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა.

   მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ფორუმის სახელის შერჩევა და ჩატარების თარიღის დადგენა.

   მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

1. **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მარინე ბერაძემ** საბჭოს გააცნო ქალთა ფორუმის ჩატარებისათვის საორგანიზაციო და დასაგეგმი ღონისძიებების ჩამონათვალი.

ფორუმის ჩატარების ადგილად შერჩეული იქნა სოფელ ხიდისთავის ანა კალანდაძის სახელობის

პარკი, ასევე გადაწყდა რომ ფორუმის პარალლელურად ჩატარდება ადგილობრივ ხელოვან ქალთა ნამუშევრების გამოფენა - გაყიდვა.

საორგანიზაციო საკითხებში ჩართული იქნება მუნიციალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები, კულტურის ცენტრი, ასევე მერიას გადაეგზავნება მოხსენებითი ბარათი საჭირო ხარჯების ანაზღაურების მიზნით, კონკრეტულად გენდერული თანასწორობის საბჭოს ბანერის დამზედებისა და სხვა ხარჯების შესახებ.

ფორუმზე მოწვეული იიქნებიან საქართველოს პარლამენტის გენდერული ღანასწორობის საბჭოს წევრები.

2. **მეორე საკითხი წარადგინა საბჭოს წევრმა** მარიტა მგალობლიშვილმა , გააცნო საბჭოს

   ფორუმის კონცეფციისა და სახელის შესახებ ინფორმაცია.

   ფორუმის სახელი შერჩეული იქნა „ქალები ცვლიან...“, ხოლო ფორუმის ჩაატარების თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 20 ივლისი, 16:00 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
გენდერული თანასწორობის საბჭო-საბჭოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი